

პირადი მონაცემების პოლიტიკა

წინამდებარე პოლიტიკა განმარტავს spacecargo.ge-ს საიტის მიერ თქვენი პირადი მონაცემების გამოყენების წესს. პირადი ინფორმაცია მოგვეწოდება ჩვენი ვებ გვერდით სარგებლობისას.

რა ინფორმაციას ვაგროვებთ თქვენს შესახებ?

პირადი ინფორმაციას ვაგროვებთ რეგისტრაციისას ან ჩვენი ვებ გვერდით სარგებლობისას. პერსონალური ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ:

1. ელ-ფოსტა
2. სახელი და გვარი
3. პირადი ნომერი
4. ტელეფონის ნომერი
5. მისამართი, ქალაქი, საფოსტო კოდი
6. ქუქი ფაილები (Cookies)

ჩვენ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს მომსახურების უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად. სერვისის გამოყენებით თქვენ ეთანხმებით ინფორმაციის შეგროვებას და გამოყენების ამ პოლიტიკას.

Cookies

"cookie" არის მცირე ზომის ტექსტური ფაილი, რომლებიც ინახება თქვენს კომპიუტერზე იმ ვებ გვერდების მიერ, რომლებსაც სტუმრობთ. "cookie" ფაილები ფართოდ გამოიყენება ვებ გვერდების მუშაობის ეფექტურობის გასაზრდელად ან ვებ გვერდების მფლობელების მიერ ინფორმაციის მისაღებად.

1. ადგილმდებარეობის მონაცემები

1.1 ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ და შევინახოთ ინფორმაცია თქვენი მდებარეობის შესახებ, თუ ამის ნებას მოგვცემთ. ჩვენ ვიყენებთ ამ მონაცემებს ჩვენი სერვისის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.

1.2 შეგიძლიათ ჩართოთ ან გამორთოთ მდებარეობის სერვისები, როდესაც ჩვენს მომსახურებას იყენებთ თქვენი მოწყობილობის საშუალებით.

2. როგორ გამოვიყენებთ იმ ინფორმაციას, რომელსაც თქვენს შესახებ ვაგროვებთ?

2.1 ინფორმაცია, რომელსაც თქვენს შესახებ ვაგროვებთ, გამოიყენება მომსახურებისათვის და თქვენი ანგარიშის სამართავად.

2.2 ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ ინფორმაცია იმ მიზნით, რომ ელ.ფოსტის მისამართზე გამომიგზავნოთ ინფორმაცია მომსახურებათა შესახებ, რომელიც ჩვენი აზრით თქვენთვის საინტერესო იქნება.

2.3 თქვენს შესახებ ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური საკითხების გამოვლენის, პრევენციის და მოგვარებისათვის. ასევე მომხმარებლის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

2.4 შესყიდვის დამუშავების დროს, თქვენს შესახებ ინფორმაცია შეიძლება გადაეგზავნოს საკრედიტო თაღლითობასთან ბრძოლის სააგენტოს.

3. პერსონალური ინფორმაციის გადაცემა

3.1 Spacecargo.ge-მ შეიძლება მესამე პირს გადასცეს თქვენი პერსონალური მონაცემები კეთილსინდისიერი რწმენით, რომ ასეთი ქმედება აუცილებელია:

3.1.2 სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად;

3.1.3 Spacecargo.ge – ის საკუთრების და უფლებების დასაცავად;

3.1.4 გადაზიდვასთან დაკავშირებით შესაძლო შეცდომის თავიდან ასაცილებლად ან გამოსაძიებლად;

3.1.5 მომხმარებლების ან საზოგადოების პირადი უსაფრთხოების დასაცავად;

3.1.6 სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად;

4. პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოება

4.1 ჩვენ ვიღებთ ყველა საჭირო ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომას, თქვენი პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ვინახავთ თქვენს შესახებ ზუსტ ინფორმაციას და ვუზრუნველყოფთ მის კორექტულ გამოყენებას. თუ ჩვენ შევიტყობთ პერსონალური ინფორმაციის შენახვის წესების დარღვევის შეახებ ჩვენ დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოება, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ინფორმაციის შენახვის ან გადაცემის არც ერთი ელექტრონული მეთოდი არ არის 100% უსაფრთხო.

4.2 პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია მომხმარებელმა არ გადასცეს საკუთარი პაროლი მესამე პირებს. ჩვენი თანამშრომლები არასდროს მოითხოვენ თქვენს პაროლს ან ID-ის უცხო ნომრიდან ან ელექტრონული ფოსტით. თუ თქვენ სხვა პირებთან ერთად სარგებლობთ საერთო კომპიუტერით არ არის რეკომენდირებული სისტემაში შესასვლელი მონაცემების ამ კომპიუტერზე შენახვა.

5. არასრულწლოვნების უსაფრთხოება

5.1 Spacecargo.ge-ის მომსახურებით სარგებლობისათვის პირი უნდა იყოს 18 წელს გადაცილებული. ჩვენ გამიზნულად არ ვუწევთ მომსახურებას 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებს და არ ვაგროვებთ მათ შესახებ არანაირ პერსონალურ ინფორმაციას. თუ თქვენ ხართ იმ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც სარგებლობს ჩვენი მომსახურებით, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ.

6. პირადი მონაცემების პოლიტიკის ცვლილება

6.1 ჩვენ შესაძლოა ცვლილებები შევიტანოთ პირადი მონაცემების პოლიტიკაში. რის შესახებაც შეგატყობინებთ ამ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებით.

6.2 რეკომენდირებულია, რომ მომხმარებელმა გადაამოწმოს პირადი მონაცემების პოლიტიკაში შესული შესაძლო ცვლილებების არსებობა.

7. სხვა ვებ - გვერდები

7.1 ჩვენს ვებ გვერდზე პერიოდულად შეიძლება ნახოთ სხვა ვებ გვერდების ბმულები. წინამდებარე პოლიტიკა ეხება მხოლოდ ჩვენს გვერდს. სხვა ვებ გვერდების გამოყენებისას, აუცილებლად გაეცანით მათ პირადი მონაცემების პოლიტიკას.